

# პოლიტიკური ნიშნით ზანოლის ფაქტიები მხოლოდ „ქართული ოცნების“ მხარეს ხდებოდა

პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, გრძელვადიან საერთაშორისო დამკვირვებლებს დასკვნები ჯერ არ გაუქვებიათ. თუმცა ჯერ კიდევ არჩევნების დღეს ყველა აღიარებდა, რომ საქართველომ დემოკრატიის ტესტი ჩააბარა.

გურია ტრადიციულად და პოლიტიკურად აქტიური რეგიონია, ხოლო ლანჩხუთის მოსახლეობა კიდევ უფრო პოლიტიზირებული. ამიტომ აქაურებს ყოველთვის ჰქონდათ სიმტკიცე და გამბედაობა, რომ ნებისმიერი არჩევნების დროს მხოლოდ საკუთარი ნება გამოეხატათ. ხალხს არც უკვირს ლანჩხუთში ოპოზიციის გამარჯვება...

მაგრამ პირველი ოქტომბრის წინასაარჩევნო პერიოდს განსაკუთრებული იყო. გლდანის საპარლამენტო დადასტურებული არაადამიანური წამების ამსახველი სიუჟეტების ნახვის შემდეგ, რომელიც მართველი პარტიის სახედ იქცა, საზოგადოებაში უარესის მოლოდინი გაჩნდა. რაც იმით აიხსნება, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სტილიდან გამომდინარე ყველა ელოდა, რომ ისინი ისევ გადაბიჯებდნენ დემოკრატიულ პრინციპებს და ძალას გამოიყენებდნენ არჩევნების გასაყალბებლად, ხოლო ამომრჩეველი, რომელსაც სხვა არაფერი დარჩენოდა, სიცოცხლის ფასად პირდაპირ ბრძოლაზე გადავიდოდა საკუთარი ხმის დასაცავად.

საზოგადოების ასეთი ფსიქოლოგიური განწყობის საპარლამენტო გადასვლის კადრების გარდა სხვა უამრავი წინაპირობა ჰქონდა. ისეთ პატარა რაიონში, როგორც ლანჩხუთი, წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ხმების სანაცვლოდ მოსახლეობაში მასიურად ნერვოზიზმს უშობდა პოლიტიკის საშუალებებით, არიგებდნენ თანხებს, სამშენებლო მასალებს, მოკლევადიანი ხელშეკრულებებით ასაქმებდნენ უმუშევარ ადამიანებს, ავალბებდნენ მათ გარანტირებულ მომხრეების მოძებნას... მაგრამ არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ საზოგადოება თბილისის მსგავსად აქაც ერთსულოვანი იყო.

ლანჩხუთის საზოგადოების ერთსულოვნების თვალსაჩინო სურათი ვინაობა არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, ლანჩხუთის ცენტრში ბატონ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე.

დასაქმებულ ადამიანებს იქ მისვლის უფლება არ ჰქონდათ, თავიანთი სამსახურების უფროსებისგან მკაცრად იყენებდნენ დაფრთხილებებს. ერთ-ერთი ანსამბლის მომღერალმა (რომელმაც გვთხოვა მისი ვინაობა არ გაგვეზილა) გვითხრა, რომ მის ძალიან უნდოდა კოალიციის ლიდერთან შეხვედრაზე მისვლა, მაგრამ კულტურის ცენტრიდან უშუალოდ დირექტორმა ტელეფონით დაურეკა და მკაცრად გააფრთხილა, რომ მიტინგზე არ უნდა წასულიყო. მოგვიანებით კი გადამოწყობის მიზნით მოულოდნელად სახლშიც ესტუმრა.

მამათელმა ემზარ ჩიკაშუაძემ დადინიძე თვის წინ, ჩვენს გახიზნვასთან დაუფარავდეს ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ „გადარჩია“ რაიონის ხელმძღვანელობამ სოფლის მცხოვრებლებთან წინასაარჩევნო შეხვედრაზე ხალხი „მათიანებად“ და „მათ მტკრებს“ და დაახლოებულ კარს მიღმა შეხვდა „მოყვრებს“ თითქოს სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით... ამ ინფორმაციის გამოქვეყნებისთანავე ბატონი ემზარ ჩიკაშუა დააშინეს, ხოლო მის თანხლებს პირებს პო-

რადგან იმ დღეს ლანჩხუთში „ქართული ოცნების“ ოფისი იხსნებოდა და იქ წავიდა. ამას მოჰყვა მისი სამსახურიდან გათავისუფლება. ანალოგიური მცდელობა იყო ჩემს მიმართ. უფრო ადრე ელგუჯა ჩხაიძე დააპატიმრეს უკანონოდ, რომლის სასამართლო დღემდე მიმდინარეობს. იყო მრავალი გზავნილი ჩვენი მისამართით, გვემუქრებოდნენ განადგურებით. როცა არჩევნების რეჟიმში გადავიდით, იყო დაშინებები ჩვენი გახეობის გამაგრებლების მიმართ. მოგვიანებით დაიწყო კოორდინატორების დაშინება და გადაბირება. სატელეფონო მოსმენები და არჩევნების წინა დამით ჩვენი კოორდინატორების დაბარებები პოლიციაში არჩევნების გაყალბების ბრალდებით!(!)

ჩვენი აქტივისტები, რომლებიც არჩევნების დღეს მძღოლის ფუნქცი-

რადგან იმ დღეს ლანჩხუთში „ქართული ოცნების“ ოფისი იხსნებოდა და იქ წავიდა. ამას მოჰყვა მისი სამსახურიდან გათავისუფლება. ანალოგიური მცდელობა იყო ჩემს მიმართ. უფრო ადრე ელგუჯა ჩხაიძე დააპატიმრეს უკანონოდ, რომლის სასამართლო დღემდე მიმდინარეობს. იყო მრავალი გზავნილი ჩვენი მისამართით, გვემუქრებოდნენ განადგურებით. როცა არჩევნების რეჟიმში გადავიდით, იყო დაშინებები ჩვენი გახეობის გამაგრებლების მიმართ. მოგვიანებით დაიწყო კოორდინატორების დაშინება და გადაბირება. სატელეფონო მოსმენები და არჩევნების წინა დამით ჩვენი კოორდინატორების დაბარებები პოლიციაში არჩევნების გაყალბების ბრალდებით!(!)

აქიული სამართალდარღვევის ოქმი, როგორც უკანონო, გაუქმებულია. გარდა ამისა №6-ე, №9-ე, №11-ე, №21, №33-ე და №37-ე საარჩევნო უბნებზე სხვადასხვა დარღვევის გამო შეტანილია 16 საჩივარ-განცხადება, რომლებიც ძირითადად შეეხებოდა ბიულეტენების ნაკლებობას. წინასაარჩევნო პერიოდში ტვ-9-ის ჟურნალისტების მიერ გვიან დამით ლანჩხუთის სამოქალაქო რესტრ-ში დაფიქსირდა ჩოჩხათის თემის რწმუნებულის მიერ ამომრჩეველთა მასიური მოყვანა „აილი“ ბარათების ალების მიზნით. ამ ფაქტის გამო ჩვენ შევიტანეთ №61-ე საოლქო-საარჩევნო ოლქში საჩივარი. ოლქმა განიხილა და რეაგირებისათვის გადაუგზავნა ოზურგეთის რეგიონულ პროკურატურას „ამომრჩეველთა მოსყიდვის დანაშაულის ნიშნით.“

სხვათა შორის, რწმუნებულის თანაშემწის ავთო სურმანის სამსახურიდან გათავისუფლება პოლიტიკური ზეწოლის ნაყოფია. ოფიციალურად კი უთხრეს, თითქოს მან სამსახურებრივი მოვალეობა ვერ შეასრულა. მაშინდელი გამგებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სურმა-ნიძემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. ყველას გახსოვს ეს ფაქტი, რომ მან შეაგროვა სოფელში ხალხი და გამგებელს დაახვედრა, ანუ სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულა, ამის შემდეგ წავიდა „ქართული ოცნების“ ოფისის გახსნაზე.

ოცნების შემდეგ საჭარო მოხელეები სამუშაო საათებში „ნაციონალური მოძრაობის“ მიტინგებს და აქციებს რომ ესწრებოდნენ, სურათებს რომ გვიღებდნენ, ეს რომელი კანონით იყო დაშვებული? მათთვის დაშვებული იყო და ჩვენი აქტივისტებისთვის არა?!

უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება და ამაზე საუბარი შორს წავიყვანის. ლოგიკურად მიმაჩნია, თუკი სპეციალური კომისია შეიქმნება და ასეთ ფაქტებს გამოიძიებენ.

დაგვიანტერესა, ჰქონდა თუ არა ზეწოლის ფაქტებს ადგილი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებზე, აქტივისტებზე ან საარჩევნო კომისიის წევრებზე.

დავუკავშირეთ „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის იურისტს დავით ცინცაძეს, რომელმაც ასეთი ფაქტი ვერ გაიხსენა:

„... არა, ერთ ფაქტსაც ვერ დაგისახელებთ, არ ყოფილა ზეწოლის არცერთი შემთხვევა, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით წინასაარჩევნო პერიოდში ასეთი რამ არ დაფიქსირებულა. იქნებ შტაბის ხელმძღვანელს ჰქვიათ...“

„ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის ხელმძღვანელმა ბატონმა რევან ზიტაძემ კი ვითხრა:

„... არჩევნების ჩატარება დემოკრატიულად. ჩვენ პატივს ვცემთ ქართველი ხალხის გადაწყვეტილებას. რაც შეეხება ზეწოლას, ასეთი ფაქტი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებზე არც არჩევნებამდე და არც არჩევნების შემდეგ არ დაფიქსირებულა.“

ეკესო მახარაძე



ბ ა დ ა შ რ ი დ ? !

ებს ასრულებდნენ, ძალადობის და უკანონობის მსხვერპლი გახდნენ. რამდენიმე მათგანს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პოლიციელებმა (რომლებიც არ გადაადგილდებოდნენ) სამსახურებრივი ავტომანქანებში, ჩამოართვეს ავტომანქანები, გამოუწერეს 300 ლარიანი ჯარიმები და მანქანები გადაიყვანეს საჯარიმო სადგომზე.

ცალკე თემაა სოციალური დახმარებების არ დანიშნვა, შეჩერება და ა.შ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ არანაკლები ზეწოლის ქვეშ იყვნენ დასაქმებული ადამიანები. უტყუარი ინფორმაციები გვაქვს, თუ როგორ აძალებდნენ ა(ა)იპ-იების ხელმძღვანელებს დასაქმებულებს, ემუშავათ ნაცმოძრაობის სასარგებლოდ. თუ ისინი ვერ მიიღებდნენ ადეკვატურ გადაწყვეტილებებს, ახლო მომავალში მათ წინააღმდეგ აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმეები. იგივე მოვლის საჯარო მოსახსურებებს, რომელთა ქმედებები არა ჯდება არანაირ მორალურ საზღვრებში, კანონზე რომ არ ვილაპარაკოთ. ყველაზე ცუდი მაინც ის არის, რომ „ნაციონალურ“ ახალგაზრდობა გამოიყენა მსტოვრებად. მათ ავალბებდნენ ჩვენთვის სურათების გადაღებას. ვფიქრობ, რომ ეს ყოველივე მათ ფსიქიკაზე სამომავლოდ უარყოფითად იმოქმედებს.

**ავთანდილ სარჯველაძე (კოალიცია „ქართული ოცნების“ იურისტი):**

მლები 30 სექტემბერს ღამის 23 საათიდან 24 საათის შუალედში მობილური ტელეფონით უკავშირდებოდნენ კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის კოორდინატორებსა და აქტივისტებს, დაახლოებით 20-მდე პირს და სთხოვდნენ გამოცხადებულიყვნენ ისინი პოლიციაში თითქოსდა აღებული ხელფასების თაობაზე. აღნიშნული პირები ორ ოქტომბერს გამოცხადდნენ პოლიციაში, მაგრამ იქ მათ ვერაფერი აუხსნა, თუ რა მოტივით და ვის მიერ იყვნენ დაბარებულები.

არჩევნების დღეს ქ. ლანჩხუთში №3 საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს გრიგოლ ფირცხალაშვილის კუთვნილი ავტომანქანა, რომელიც გადაიყვანეს პოლიციის სამმართველოში, სადაც მას უკანონოდ შეუღდინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი დაუმორჩილებლობაზე. მოგვიანებით ავტომანქანა გადაიყვანეს სპეცსაჯარიმო სადგომზე ქობულეთში.

ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირდა სოფელ ნიგოთში იოსებ ორაგველიძის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ორივე „ქართული ოცნების“ აქტიური მხარდამჭერი და კოალიციის წევრია.

ორთავე ფაქტზე ლანჩხუთის მაგისტრანტი სასამართლოში შევიტანეთ საჩივარ-განცხადებები. სასამართლოს გადაწყვეტილებით ორთავე ადმინისტრ-

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი CIVIC DEVELOPMENT INSTITUTE UNDEF The United Nations Democracy Fund

სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.